

კ კერძო პირთათვის 10.000 ბან.  
სახელმწ. დაწესებულებათათვის 7000 ბ.

პროლეტარიუბო უკულა ქვეუნისა, შეკრიფიტი!

სახელმწ. დაწესებულებათათვის  
ბიბლიოთისა

ფლიცაზი  
მომრე

გაგათი, იან. 28.

# გოგია

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატისა.

1922 წ.



№ 26

ევგელიკი კირიული ორგანო.

№ 26

800 ღება ხელის მოწერა

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის უფლებულ უფრობა

„ე ღ ა მ ა ხ ე“-ზე

1922 წლის პირები იანვრიდან უფრობა თვლული რიცხვის შემცირება, სახელმწიფო და პროდენიციალურ დაწესებულებებითათვის თეთრი 28,000 მანეთი, (ცალკე ნომერი 7,000 ბ.), კერძო პირთათვის თეთრი 40,000 ბან. (ცალკე ნომერი 10,000 ბან.).

უფრობალში მოხატვების მიღება განცხადებანი, როგორც სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათაგან, აგრეთვე კერძო პირთვები.

კველა მოქალაქე გადატერული „გოგია“-ის მრავალი რქინიადება  
კასაშროების და გამშვიდებელ მოწმობის დამარჯვის შესახებ.

1922 წლის განხვდაში ერთობოს თუკიაურ განყოფილება, ში დაიბეჭდება ს. ს. ს. რ. მთავრობის, ყველა დეკრიტი, ბრძანება და დადგენილება, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის ბრძანებები, ცირკულარები და დადგენილებანი და იგრძელ ყველა უწყვეტის ბრძანებანი და დადგენილებანი, ზოგადი საკანონმდებლო და საღმმენებლო ხესითის.

განსაკუთრებული ყურადღება ექნება მიქცეული უფრობის არა ოფიციალურ განყოფილების, სადაც პრიორულად მოთავსება განმარტებანი მთავრობის დაკრეტების, საღისაუსი და ზოგადი ხესითის წერილები საბჭოთა აღმშენებლობის შესხებ, ინგირიშები შინაგან საქმეთა კომისარიატის და მის ქვემდებარე თრაგანების მოღვაწეობის შესხებ, მიმოხილვა აღდელობრივი, რესენის და უცხოეთის ცხოვრების, შეკითხვები აღვილებიდან და საერთო ინფორმაცია. უფრობალში მონაწილეობას მიიღებენ საბჭოთა აღმშენებლობის მცოდნე თანამშრომელი.

სედაქცია ლია დილის 8 ს. 3 სახატო კერძო-უქმდების გარდა.

რედაქციის მისამართი

შინ. საქ. სახ. კომისარიატის ბინა: ევანგელიკის ქ. № 1. (ყოფ.—კადეტთა კორპუსის შენობა) ტელეფონი № 6—90.

# რ თ ი ც ი პ ა ლ უ რ ი გ ა ნ უ რ თ ი ლ ი ზ ა ქ

## დადგენილება № 116

ხაქართ. სოც. საბჭ. რევ. კომიტეტისა

წითელ ა-მიელთა დამხმარე კომიტეტში რეინის  
გზის საქართველოს წარმომადგენლის დანიშ-  
გნის შესახებ.

წითელ არმიელთა დამხმარე კომიტეტის მო-  
წყობის შესხებ საქართველოს სოც. საბჭ. რესპუ-  
ბლიკის რევოლუციონური კომიტეტის მიერ ამა  
1921 წლის ნოემბრის 22 თარიღითა და 105 №-ით  
გამოცემული დადგენილების დამატებად — საქარ-  
თველოს რევოლუციონური კომიტეტი ადგენს:

1. წითელარმიელთა დამხმარე კომიტეტის შე-  
დგენილობაში დაინიშნოს აგრეთვე რეინისგზას სამ-  
ხალხო ერთო წარმომადგენლი.

2. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან  
მისი გამოქვეყნებისა.

ხაქ. სოც. საბჭ. რესპ. რევოლ.

კომიტ. თავმჯდ. მოადგილე ს. ქავთარაძე.

რევკომის მდივანი ალ. სალარიძე.

1921 წ. დეკემბრის 22.

ტფილისი — სახალხო.

## დადგენილება № 117

ხაქ. სოც. საბ. რესპ. რევოლუციონური კო-  
მიტეტისა

საქართველოს წითელ არმიის სამხედრო მოსა-  
მხახურეთა მიერ ჩადენილ დანაშაულთა ქვა-  
მდებარეობის შესახებ.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლუ-  
ციონური კომიტეტი ადგენს:

1. საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა  
რესპუბლიკის რევოლუციონური ტრიბუნალების  
რეორგანიზაციამდე, დაქვემდებაროს საქართველოს  
უზენაეს რევოლუციონურ ტრიბუნალს. საქმეები  
საქართველოს წითელ არმიის სამხედრო მოსამსა-  
ხურეთა, რომელთაც ბრალდებათ:

ა) კონტრრევოლუციური მოქმედება, რომო-

რიც არის მაგალითად: შეთქმულება, აჯანყება,  
ტერორისტული აქტი, დარბევა, ჯაშუშობა, სა-  
ხელმწიფო ბრძოლი და არეთვე სხვა რამ, რაც  
საქართველოს საბჭოთა წყობილებისათვის აშკარა  
საფრთხეს წარმოადგენს;

ბ) მოქმედება, რომელიც საბჭოთა ხელისუფ-  
ლებას აშკარად ნიობას უკარგავს;

გ) თანამდებობითი მმიმე დანაშაული, როგორიც  
არის მაგალითად: საბოტავი, მექრთმეობა, სამსა-  
ხურებრივი სიყალბის ჩადენა, მითვისება და გაფ-  
ლანგვა, აგრეთვე ხელისუფლების გადამეტება ან  
უმოქმედობა, რასაც შეიძლება მოჰყვეს განსაკუთ-  
რებულად მავნე შედეგი;

დ) მსხვილი სცეკულიაცა;

ე) დეზერტირობა, აგრეთვე დეზერტირობისა-  
თვის ხელის შეწყობა და მათი წაქეზება თუ და-  
ფარვა, რამდენადც სადეზერტირო კომისიების და-  
კვნით ეს საქმეები მათ კომპეტენციას აღემატება; და  
ვ) სამოარ ბრძანებათა აუსრულებლობა და  
სხვა სპეციალური სამხედრო დანაშაული.

2. ყველა დანარჩენი ხაქე საქართველოს წი-  
თელ არმიის სამხედრო მოსამსახურეთა შესახებ  
ექვემდებარება საქართველოს სახალხო სასამართლოს.

3. თუ დანაშაული საქართველოს სოციალის-  
ტურ საბჭოთა რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩა-  
დენილი, როგორც საქართველოში მცხოვრებ მო-  
ქალაქეთა, აგრეთვე საქართველოს საბჭოთა არმიის  
სამხედრო მოსამსახურეთა მიერ არა საქართველოს  
საბჭოთა არმიის სამხედრო მოსამსახურეთა თანა-  
მონაწილეობით, — ხაქე, როგორც პირველთა — ისე-  
ვე მეორეთა შესახებ განუყოფლივ განიხილება სა-  
ქართველოს უზენაეს რევოლუციონური ტრიბუ-  
ნალის ან სახალხო სასამართლოს მიერ ქვემდება-  
რებობისამებრ.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან  
მისი გამოქვეყნებისა.

ხაქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტის  
თავმჯ. მოადგილე ს. ქავთარაძე.

იუსტიციის სახ. კომისრის მოადგილე ბროდსკი.

რევოლ. კომიტ. მდივანი ალ. სალარიძე.

1921 წ. დეკემბრის 25.  
ტფილისი — სახალხო.

## დადგენილება № 118

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტისა

საცხოვრებელი მინიჭუმის გადიდების შესახებ  
პროგრესული ხაშემოსავლო ხარკისათვის.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ოფიციული კომიტეტის 1921 წლ. ივლისის 26 თარიღისა და 61 №-ის დეკრეტის მე-II ნაწილის მე-2 და მე-9 მუხ. (მუხ. 44 საშემოსავლოს ხარჯის (ნალობ) დებულებისა) შესასულელად, — საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის ოფიციული კომიტეტი კამატების:

1. ყველა წყაროს შემოსავლი, რომლის რაოდენობა არ აღემატება ცხრა მილიონ (9.000.000) მანეთს, განთავისუფლებულ იქნება საშემოსავლო ხარჯის დაბვევისათვის. თუ აღნიშნული შემოსავლი ზემოხსენებულ თანხას აღემატება, იგი უნდა დაიბეჭროს 61 №-ის დეკრეტით დამტკიცებულ ნუსხის მიხედვით.

2. სახელმწიფო საშემოსავლო ხარჯის დებულების 45 მუხ. წესით გადასახდის შემცირების უფლება მიეცეს მხოლოდ იმ გადამხდელს, რომლის ხარჯ-დასადები წლიური შემოსავალი არ აღემატება ოცდა თერცემდებრ მილიონ (36.000.000) მანეთს; ხოლო 46 მუხ. თანახმად, ესვევ უფლება მიეცეს იმ გადამხდელს, რომლის ხარჯ—დასადები წლიური შემოსავალი არ აღემატება ორმოცდა თოხმეტ მილიონ (54.000.000) მანეთს.

3. ამ დადგენილების მოქმედება გავრცელებულ იქნება 1921 საგადანაკვეთო წლის გადასახდებელაც.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტ.

თავმჯდ. მოადგილე ს. ქავთარაძე.

ფინანსთა სახალხო კომისარი ალ. სვანიძე.

რევ. კომიტეტის მდივანი ალ. სალარიძე.

1921 წ. დეკემბრის 26.

ტფილისი—სასახლე.

## დადგენილება № 119

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტეტისა.

1. გაწვეულ იქნეს ნამდვილ სამხედრო სამსახურში საქართველოს სოც. საბ. რესპუბლიკის მოქალაქენი, დაბადებული 1900 წელში და საკონდიტო შედენილობის უმცროსი პირი (ყოფილი პოლკრაპორჩიკები, ზემდეგნი, ვახმისტრები, ნაცვა-

ლნი, და ფერვიტკერები) დაბადებული 1897, 1898 და 1899 წლებში.

2. 1900 წელში დაბადებულთაგან გაწვეულ უნდა იქნენ ჯარში რესპუბლიკის ყველა მოქალაქენი უკლებლივ, გარდა მასშვევლებლთა და მოსწავლეობა, თანახმად საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. რევოლუციონური კომიტეტის 1921 წლ. № 40 დეკრეტისა, და აგრეთვე მაპმადის სარწმუნოების მოქალაქეთა და სექტანტებისა.

3. პირველ მუხლში მოხსენებულ საკომანდო შედეგისამართის უმცროს პირთაგან, რომელიც დაბადებული არიან 1897, 1898, და 1899 წლებში, შეიძლება განთავისუფლებულ იქნენ ჯარში გაწვევისაგან მატრების სამხედრო კომისარიატების მიმღებ კომისიების განკარგულებით, მხოლოდ ოკინისებზის, საზოგაო ტრანსპორტისა და ფოსტა-ტელეგრაფის უწყების უმაღლესი კვალიფიკაციის ტეხნიკური მომუშავენი, რომელთა მაგიერობის გაწევა შეუძლებელია.

**შენიშვნა:** თვითეულ ცალკე შემთხვევაში სახალხო კომისრებს, მათი პირადი პასუხისმგებლობით, უფლება ეძღვვათ აღმრან შეუძლებლობა სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისარიატთან არსებულ გადის გადამდებ ცენტრალური კომისიის წინაშე—სპეცის განთავისუფლების შესახებ, რომელიც არ ეკუთვნიან ამ მუხლში მოხსენებულ კატეგორიას.

4. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა ტელეგრაფით, ხოლო თვით ვალა და წესი გაწვევისა განისაზღვრება სამხედრო და საზღვაო სახალხო კომისრის განკარგულებით.

საქ. სოც. საბჭ. რესპ. რევ. კომიტ.  
თავმჯდ. მოადგილე ს. ქავთარაძე.

სამხედრო საზღვაო საქმეთა  
სახ. კომისრის მოადგილე აღნიაშვილი.

რევ. კომიტეტის მდივანი ალ. სალარიძე.

1921 წ. დეკემბრის 28.

ტფილისი—სასახლე.

## შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი.

### ც ი რ კ უ ლ ი ბ ი

ხახელმძღვანელოთ ადგილობრივ რევენტებს.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში დაგროვილია სხვა და სხვა წყაროებიდან სარწმუნო

Անգամ ամսությունը պահպանվելու համար առաջին առաջարկը կատարվել է ՀՀ պատմական պահպանության նախարարության կողմէն՝ 2010 թվականի մայիս ամիսին:

ამ სათაოს გაძლევ მაზრის რევუმშებს კატეგო-  
რიული წ-ნაცდიბას. რომ ოვით ისინი და მათი ხელ-  
ქვეთ მდგრამი სათემო რევუმები მოდამ მზათ  
იყანენ გაუწიონ რეალური დახმარება სახალხო მო-  
სამართლეთ და გამომძიებელთ მათ კანონიერ მოთ-  
ხოვნებში, რომელიც გამოწვეული იქნება სამსახუ-  
რის ასრულების გამო; ამ ციტკულიარისადმი აღ-  
გილობრივ რევუმთა მიერ უყურადღებობა გამო-  
წვევს შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის  
მხრივ სწრიც რეპრესის.

შინაგან საქმეთა სახალხო  
კომისარი ბ. კვირკველია.

# ପିଲାକୁଳମ୍ବନ୍ଦୀରୁଷାରୁଷାରୁ

မွေးလာ ပြုလေသိပ္ပါဒ်၊ လေ မာစီရေးဝန်ကြီးဌာန

საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის რევოლუციონურობის კომიტეტის დათვე ნილებით წითელ ჯარისაგან რეკვიზიციით თაზარალებულ მოქალაქეთა დამხმარე კომისიამ შესწყობა თხოვების მოწერა და ზარალის ანაზღაურება შედი ნოემბრიდან.

მასთან ერთად ხსინებულ კომისიას წინაღადადგ-  
ბა მიეცა: შვიდ ნოებბრძლე შემოსული თხოვნები  
საჩქაროდ განიხილოს და დააკმაყოფილოს ოგი,  
რას შემდიგაც კომისიის მოქმედება უნდა შესწყოს.

ვატყობინებ რა ამას, წინადადებას ვაძლევ კეგ-  
ლა ქალაქებისა და მაზრების რეგიონებს გამოცხა-  
დონ საჯაროდ რომ შეიძი ნოემბრითან მიღებული  
თხოვენები აღარ განიხილება კომისიაში, ამასთანავ  
კომისიის მიერ რეგიონებში გამოსაძიებლად გაღმოყვა-  
ენილი თხოვენები თუ კვირის განმავლობაში დღი-  
დან გამოცხადებისა დაამთავრონ და დაუბრუნონ  
კომისიას.

ის რევულმი, რომელიც ამ გაღაში არ დაუბრუნებს კომისიას გამოვზავნილ თხოვებს, პასუხის გებაში იქნება მიკვემდება.

შინაგან სამშენებლო

କୁମରିଶାରୀ ଧ. ୫୩୦୯୪୩୩୦୯.

ପ୍ରାଚୀନତିରେ ତାଙ୍କୁ ପରମାଣୁ ବ୍ୟା. ପ୍ରାଚୀନତି.

# ଶ୍ରୀକୃଷ୍ଣମାର୍ଗବିଦ୍ୟା

## ԱՅԵԼԱ ՏԱԲԱՑԻԿ ԻՐԱՎՈՒԹՅՈՒՆ

როვორც მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატი გვაცნობებს თავის მომარივით ა.წ. ი. ნერის 5 თ.რელით I №-ით რეკომენდის ითილებუნ და განახენი გამოაქვთ ისეთ საქმეებზე, რომელთა განხლვაც არაერთაში შემთხვევაში გათ კომპენტენტუის არ ჩემდეგნს. ასეთი ს.ქედებიც იღებულობოვთ რეკომენდის მიერ კორძო პრირადა სამოქალაქო სასიათოს დავაში ჩატარება და სხვა.

ასეთი მდგომარეობა კი ქნის დაწესებულებების ფუნქციათა აღრევის და ანარქია შეაძლოს სახე-  
მწიფოს მმართველობაში. ყოველივე ამის გამო წი-  
ნადაღების გაძლიერება არ მიიღოთ წარმოებაში კერძო  
ხასიათის დავის განხოლება, ხოლო მოწყობითი საქ-  
მები გადასცეთ სათანადო სხვაობო სისხმართლოს.

სახალხო კომისარის მოღვ. ნ. ხორლოვი.

საქმეთა მშართვისას გ. ხახინაშვილი.

საერთო განყ. გამგე ა. ჩიქოვანი.

12 0063. 1922 6.

ଓର୍ବଲାଙ୍ଘନି

ყველა შაზრის რეგულიზაცია.

როგორც რკინის გზის სამჟართველო გვაც-  
ნობებს, სამაზრო და ოების რევუმები არავთარ  
დახმარებას არ უწევენ რკინის გზის თანამშრომა-  
ლებს, რომ სამუშაოდ დაბრუნებულ იქნან ის მუ-  
შები, რომელთაც თავის ნებით მრატოვეს მუშაობა.  
რევუმების ასეთმა დამოკიდებულებამ გავლენა იქო-  
ნია მუშაობაზე და იძვევ ცრას გამრავლდა შრო-  
შის დეზერტირთა რიცხვი. ასეთი მდგომარეობა კი  
აფერხებს საქმის ნორმალურ მსვლელობას და სი-  
შუალებას სპონს წარმოებულ იქნას სისტრატი-  
ტა აუცილებელი სამუშაო. გაცნობებო რა ამას  
წინადა უგაბას გაძლევთ ყოველგვარ დახმარება აღ-  
მოუჩინოთ რკინის გზის თანამშრომალებს შრომის  
დაზერტირთა სამუშაოზე დასაბუნებლად, წინაა-  
ღმდეგ შემთხვევაში თვით თქვენ წინააღმდეგ იქ-  
ნება მიღებული სათანადო ზომები.

Պատ. Խայթ. Տաե. Համեմատիկոս Ցառլ. Տ. Եղիշևոլովսկյան.

სიქმეთა მმარრველი პ. ხახანაშვილი.

10 сен. 1922 г.

# მუშათა და გლეხთა. ინსპექტორის სახ. კომისარიატი

## წესები

ს. ს. ს. დაწესებულებათა და წარმოებათა სამეცნიერო-საფინანსო და სამრეწველო მოქმედების წინასწარ და ფაქტორუ რევიზიის წარმოების შესახებ.

### საერთო დებულებანი.

მუხ. 1. მუშათა და გლეხთა ინსპექციის წინასწარს და ფაქტორუს რევიზიას, ქვემოთ აღნიშნულ საფუძვლებზე, ექვემდებრება საბჭოთა დაწესებულებებისა და წარმოებათა განკარგულებაში არ გებულ ფულის და ნივთაერ განძულობის მოძრაობა, მათი კანონიერების, სისწოოის, ყაირათიანობის, მიზანშეწონილობის და დაცულობის შერიც.

მუხ. 2. წინასწარს და ფაქტორუს რევიზიას აწარმოებს როგორც მუშათა და გლეხთა ინსპექციის ცენტრალური, ისე მისი აღილობრივი დაწესებულებანი.

### წინასწარი რევიზია.

მუხ. 3. საბჭოთა დაწესებულებანი და წარმოებანი უდგენერ მუშათა და გლეხთა ინსპექციის წინასწარ სარევაზოდ და დასასკვავლად:

ა) ყოველ თანხის პროექტებს, რომლებიც კი ეხება შტატებს, ხარჯთაღრიცხვებს, ფასებს და შეფასებებს;

ბ) ანაკებთა და სამუშაოთა სატეხნიკო, სამეცნიერო—საოპერაციო პროექტებს; იგრევე, პორობათა შეკვრამდე, დამზადებების და მეცნიერების, კონფიდენციალურ და ხელშეკრულების პროექტებს, თუ თანხა ამ პრენტ ში განხოთხულ ხარჯებისა, საერთო ღირებულობისა ერთ მილიონს მანებს აღმატება.

**შენიშვნა:** ერთის და იმავე ოპერაციის რამოდენიმდე დანაშაულება აღკრძალულია; ამის აუსარულებლობისათვის დამზადება ამავთა მავრე, როგორც თანამდებობის ბოროტმაქმდებრებისათვის, სასამართლოს წინაშე პასუხისმგებაში აძლევენ მუშათა და გლეხთა ინსპექციის დაწესებულებანი იმ წესით, რომელიც ნაჩვენებია 27 აპრილის 30 №-ის დეკრეტში ინსპექციის შესახებ.

მუხ. 4. წინასწარ რევიზიის დანიშნულების შესასრულებლად მუშათა და გლეხთა ინსპექციის უფლება აქვს მავლინოს თავისი წარმომადგებლები საბჭოთა დაწესებულებების და წარმოებათა

სხდომებზე და კომისიებში მონაწილეობის რაოდენობად.

მუხ. 5. საბჭოთა ყველა დაწესებულებანი დაწარმოებანი მუშათა და გლეხთა ინსპექციის, თანამდების მისი მოთხოვნისა, ვ დღის ვადაში უგზავნიან ცნობებს ყველგვარ გამოწერილ ასიგნებსა, ჩეკებსა და მოძრაობაზე, როგორც იმ საქმეთა შესახებ, რომლებიც წინაწარ რევიზიის ქვეყარდება (მუხ. 3), ისე ყველა იმ საქმეთა შესახებაც, რომლებიც ხაზინა ისტუმენტებს ხარჯებს.

მუხ. 6. მესამე მუხლში აღნიშნულ საგნებზე მუშათა და გლეხთა ინსპექციის თავის დასკვნას იძლევა ვ დღის ვადაში, დღიდან მის მიერ შეკითხვის მიღებისა.

მუხ. 7. თუ მუშათა და გლეხთა ინსპექციის არ მოეპოვება საჭირო ცნობები დასკვნის მისაცემად, იგი მოითხოვს ამ ცნობებს ვ დღის ვადაში დღიდან შეკითხვის მიღებისა; ზოლო, თუ ვინიცობაა მას ეს ცნობები არ მოუვიდა აღნიშნულ ვადაზე, იგი უკანვე უბრენებს განმკარგულებელ სამართველოებს მიღებას მიმოწერას დასკვნის მიუცემლად და თან აცნობებს მათ რომ ინსპექციას არ მოეპოვება სათანადო ცნობები დასკვნის მისაღებად.

მუხ. 8. განმკარგულებელ სამართველოებს შეუძლიან, სათანადო თანამდებობის პირთა პირად პასუხისმგებლობით, განახორციელონ თავისი განზრავინი, თუნდაც მათ არა ჰქონდეთ მიღებული დასკვნა მუშათა და გლეხთა ინსპექციის დაწესებულებათაგან (მუხ. 7), ანუ თუ გრძელ ინსპექცია არ იყოს თანახმა ამ პროექტებისა.

მუხ. 9. ისეთი განკარგულებების გაცემის დროს, რომელიც არ ეთანაბება მუშათა და გლეხთა ინსპექციის დასკვნას ან თუ ეს დასკვნა ჯერ მიღებული არ არის ინსპექციისაგან, განმკარგულებელი სამართველო აცნობებს აგრედა ინსპექციისაც.

მუხ. 10. იმ შემთხვევაში, როდესაც ან ხათანადო ცნობების უქოალობის გამო არ არის მიღებული ინსპექციის დასკვნა, ან და გაიცა ისეთი განკარგულება, რომელიც არ ეთანაბება ინსპექციის დაწესებულების დასკვნას, სარევიზიო დასკვნის მიცემა ამ საქმეზე ხდება შემდგომის რევიზიის წესით.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელთა მივლინების შესახებ განმკარგულებელ სამართველოთა კომისიებას და სხდომებზე მონაწილეობის მისაღებად.

მუხ. 11. მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელი, მივლინებული, განმკარგულებელი საბჭოთველოთა კომისიებას და სხდომებზე დასაწერებლად, მონაწილეობენ ამ კომისიებას და სხდომებზე სათანაბირო ხმის უფლებით.

მუხ. 12. ინსპექციის წარმომადგენელთა მიერ სხდომებზე წარდგენილნი განცხადებანი უნდა შეტანილ იქმნას, მათი მოთხოვნის შემდეგ, სხდომის შურინალსა თუ იქმში.

მუხ. 13. განმკარგულებელ სამმართველოების სხდომათა შემოწმებული უტრინალები ანუ ოქმები ეგზაგნებათ ინსპექციის წარმომადგენელთ, მათი მოთხოვნის შემდეგ, არა უგვიანეს ნ დღისა სხდომის დღიდან.

მუხ. 14. ინსპექციის წარმომადგენელთა დასკვნა განმკარგულებელ სამმართველოთა დადგენილების სისრულეში მოყვანას ვერ შეაჩერებს, გარდა შემდეგ შემთხვევებისა: ა) ინსპექციის წარმომადგენლის განცხადებისა გამო, რომ ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტა საჭიროა გადაიდოს, მხოლოდ არა უგვიანეს 2 დღისა,— ან განსახილველ საკითხის სირთულის მიზეზით, ან და ინსპექციის უმაღლეს ინსტანციისადმი. მოხსენების წარსადგნად; ბ) ინსპექციის წარმომადგენლის კატეგორიულ პროტესტისა გამო, დადგენილების უკანონობაზე მითითებით.

მუხ. 15. თუ განმკარგულებელი სამმართველო თანახმა არაა იმ დადგენილების შეცვლისა, რომლის გამო პროტესტი განაცხადა მუშათა და გლეხთა ინსპექციამ, საქმე გადაეცემა სახალხო სათანადო კომისრებს საბოლოო გადასაწყვეტა ს. ს. ს. რ. რეეორიულიონურ კომიტეტში.

მუხ. 16. მუშათა და გლეხთა ინსპექციის დაწესებულებებს ანუ მათ წარმომადგენლებს დროით უნდა ეცნობოს დრო და ადგილი სხდომებისა და აგრეთვე ის საკითხებიც, რომელთა შესახებაც მსჯელობა აქნება ამ სხრომებზე. ინსპექციის წარმომადგენლის მიუსცელელობა არ შეიძლება სხდომის გადადების საბაზად ჩაითვალოს.

მუხ. 17. თუ ინსპექციის წარმომადგენელი ვერ შესძლო დროზე მისვლა კომისიებსა და სხდომებზე მონაწილეობის მიხალებად ან შეუტყობინებლობისა ან და დროზე შეუტყობინებლობისა გამო, ინსპექციის დაწესებულებათ უფლება ეძლევათ სადაც გამოაცხადონ განხილულ საკითხზე გამოტანილი დადგენილება.

### ფაქტორი რეეიზია.

მუხ. 18. ფაქტორი რეეიზის წარმოების დროს მუშათა და გლეხთა ინსპექციის უფლება აქვს: ა) დაქსწროს საჯარო ვაჭრობებსა და შეჯორებებზე; ბ) შეამოწმოს სინალდე და მდგომარეობა ყოველგვარ ნივთიერ ქონებისა საცავებში და ფულის თანხებისა—სალაროებსა და თანამდებობის ცალკე პირთა ხელში მათი ბრუნვისა და მრჩებარების კონიერებს-ს შემოწმებით; გ) შეამოწმოს ულუფაზე მყოფთა ნამდვილი რაოდენობა; დ) შეამოწმოს ნამუშევარის გამოსაანგარიშებელი ცნობები, შეამოწმოს სამუშაო ძალის ნამდვილი რაოდენობა, აგრეთვე გასინჯოს და შეა-

მოწმოს ულუფელგვარი. ნამუშევარი და შეამოწმების ნაშენი ულუფელ ქამს და მათ წარმორბის ულუფელ საფეხურზე; ე) მონაწილეობა მიიღოს იმ კომისიებში, რომელთაც დავალებული აქვთ შეამოწმონ, გასინჯონ და ჩაიბარონ შესრულებული ნაგებ-ნაშენი და სამუშაოები და აგრეთვე მასალები და სხვა ულუფელგვარი ქონება; ვ) მონაწილეობა მიიღოს იმ კომისიებში, რომელთაც დავალებული აქვთ ქონების დროგამოშევებით დათვალიერება, მისი გადაცემა ერთი პირისაგან მეორეზე, ქონების არა საჭიროდ, უვარებისად ანუ შეხასწორებლად და შესაკეთებლად ცნობა, აგრეთვე ქონების ხელახლად შეფასება ან მისი სრულებით მოსპობა; ზ) მონაწილეობა მიიღოს კომისიებში, რომლებიც იძიგვენ და იკვლევენ არა-ჩვეულებრივ შემთხვევებისა გამო მიყენებულ ზარალის რაოდენობას იმ ადგილებზედდე, ხადაც მნაირი შემთხვევები მოხდა; ჸ) დაქსწროს იმ დროს, როდესაც სწარმოებს საცდელი გაშინჯვა და ექსპერტიზა ან საფარგლო ნორმების დასაწესებლად, ან და სხვა რამე მიზნებისათვის; თ) მიიღოს და დაგეჭილოს ნიმუშები, თავის წარმომადგენელთა და აგრეთვე ანგარიშვალდებულ სამმართველოს პირთაგან ხელის მოწერით; ი) განიხილოს ანგარიშვალდებულ დაწესებულებებითა და სამმართველოთა ყველა დაფრიგბი, ანგარიშები, საბუთები და საქმეები, იმ.თ გამონაჯლისით, რომლებიც სახელმწიფო სიცუმლების შეაღენნებ და რომელთა განხილვისა და ინსპექციის დაწესებულებებში წარდგენის შესებულებების შეიმუშავებენ, ურთიერთ შეთანხმებით, ინსპექციისა და ანგარიშვალდებულ დაწესებულებების უფროსი; კ) საზოგადოდ აწარმოვლის შემოწმება და გასინჯვა, ოქმებით დაადასტუროს ყოველგვარ სარეკვიზით მიზნებისათვის საჭირო ცნობები, დაესწროს ანგარიშვალდებულ დაწესებულებებითა და პირთა იმ მაქმედებას, რომელიც ეხება მათ მიერ წარმოებულ ოპერაციების შესრულებას და მათ მიერ მიზნების დაკავშირებულ ყოველგვარ განხეულობის ტრიალს.

მუხ. 19. ანგარიშვალდებული დაწესებულებანი და პირნი ვალდებული არიან ყოველგვარი საშუალება მისცენ მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ მივლინებულ წარმომადგენელთ ფაქტიურ შემოწმების დაუბრუკლებლივ მოსახდენად და საზოგადოდ მათ სრული დახმარება აღმოუჩინონ თავის მოვალეობათ წარმატებით შესასრულებლად.

მუხ. 20. მუშათა და გლეხთა ინსპექციის ფაქტიურ რეეიზის აწარმოებს ან თავის საკუთარ თაოსნობით. ან და თანახმად განმკარგულებელ სამმართველოთა განცხადებისა.

მუხ. 21. სალაროებისა და ნივთიერ ქონების მუდმივ საცავთა ფაქტიური რეეიზია, როდესაც ამ რეეიზის თაოსნობს მუშათა და გლეხთა ინსპექციის დაწესებულება, სწარმოებს შესამოწმებელ განხეულობის და ქონების პასუხისმგებელ მცველოთა ანუ მათ მოადგილეთა თანადასტრებით.

მუხ. 23. ცნობა იმის შესახებ, თუ როდის დაწყება განზრახული საჯარო ვაჭრობა, შეჯიბრება, შემოწმება ან ჩაბარება და სხვ. უნდა დროით გაეკვინოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის დაწესებულებებს ან მის ცალკე წარმომადგენელთ და ყოველ შემთხვევაში იმ ვარაუდით, რომ ინსპექციის თანამდებ—წარმომადგენელთ შესძლონ იმ დროისათვის მისვლა საქმეების განსახილველად დაიმუშავოს ადგილს, რომელიც ნაჩვენები იქნება მოწვევის უწყებაში.

მუხ. 23. ყოველი არა-ჩვეულებრივი შემთხვევა, მაგალი. უკარი სიკვდილი, ჰერაზე შეშლა და უცნობოთ და უკვალოდ ყოფნა იმ პირისა, ვის პასუხისმგებლობის ქვეშაც იყო ქონების საცავი, გაფლანვის აღმოჩენა ანუ ქონების გატაცება, ცეცხლის გაჩენა და სხ. და საზოგადოდ ყოველისეთი შემთხვევა, როდესაც ხაზინისადმი მიყენებულ ზარალის მიზეზიც და რაოდენობაც შესაძლოა გამოირვეს მხოლოდ იმ უასვე, როგორც ეს ზარალია მიყენებული, უნდა ეცნობოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის დაწესებულებებს ანუ ცალკე მის წარმომადგენელს თვით ასეთ შემთხვევის აღმოჩენისათვალი; ხოლო თუ დაწესებულება ან მისი წარმომადგენელი შორსა მომხდარ შემთხვევის ადგილიდან, უწყება იგზავნება ტელეგრაფით.

მუხ. 24. მუშათა და გლეხთა ინსპექციის დაწესებულებებში ანუ მის კერძო წარმომადგენელთა ძირი გაგზავნილ მიწვევის უწყებაში, სადაც აღნიშნულია განზრახულ ვაჭრობის და შეჯიბრების, შემოწმების და ჩაბარების და სხ. დრო და ადგილი, უნდა იყვეს მოხსენებული მოკლედ, მაგრამ სისწორით კი, მოხსენებული უნდა იყვეს აგრეთვე ისიც, თუ რაში გამოიხატება ანგარიშვალცემულ პირის ანუ პირთა საზუშაო, რომელშიც მონაწილეობის მისაღებად მიწვეულია ინსპექციის წარმომადგენელი; ამასთან უკველოდ უნდა იყვეს ნაჩვენები, მაგალითისთვის მაინც, ჯამი ვაჭრობისა ანუ რაოდენობა სამუშაოებისა, ნივთებისა და მასალებისა, ანუ რაოდენობა სამუშაოებისა, ანუ ხაზინისათვის შესაძლებელ ან უკვე მიყენებულ ზარალისა და სხ.

მუხ. 25. ინსპექციის წარმომადგენელის მიუსვლეობა დანიშნულ დროისათვის მიწვევის ადგილზე ფერ შეაჩერებს განმკარგულებელ სამართველოს პირთა მიერ განზრახულს მოქმედებას.

მუხ. 26. თუ ინსპექციის წარმომადგენელმა სამოქმედოდ განზრახულ ადგილს ფერ შესძლო დროზე მისვლა ან შეუტყობინებლობისა ანუ დროზე შეუტყობინებლობის მიხევის გამო, მუშათა და გლეხთა ინსპექციის დაწესებულებას უფლება აქვს მისი წარმომადგენლის დაუსწრებლობის დროს შედგენილი ოქმი უდავო დოკუმენტის ძალის შემნე არ სცნოს.

მუხ. 27. სხვა და სხვა საგნების, მასალების და ნამუშევრის განხილვისა, შემოწმებისა და მიღების დროს მუშათა და გლეხთა ინსპექციის

უფლება ეძლევა შეამოწმოს ყველა მდგრადი და მდგრამარებება, რაოდენობა, ხარისხი, წონა და ზომა და ავრეთვე ისიც, შეესაბამება თუ არა ეს შესამოწმებელი საგნები მასალათა დამხადების ანუ სამუშაოთა წარმოების პირობებს.

მუხ. 28. მუშათა და გლეხთა ინსპექციის უფლება აქვს ნამუშევარის და შასალათა ტენიკურ თვისების და ხარისხის შეფასებაში შევიდეს იმ შემთხვევებში, თუ ვინიცობა მან შეამჩნია, რომ ნამუშევარი, მასალები და საგნები კმასაყოფლი არა ან და არ შეესაბამება მათ ტენიკურ პირობებს და მოთხოვნებს. ინსპექციის წარმომადგენელს, თუ ვინიცობა მის დასკვნას არ დაეთანხმა სამუშაოთა პასუხისმგებელი ხელმძღვანელი ანუ ის პირი, რომელთაც რწმუნება აქვთ წარმომონ შემოწმება ან მიღება, ევალება განცხადოს, რომ საჭიროა მცოდნე პირთა თანადასწრებით მოხდეს ხელახლად შემოწმება ნამუშევარისა ანუ ხელახლი გასინჯვა მასალებისა და საგნებისა.

მუხ. 29. ნამუშევარის ხელახლად შემოწმება ან და მასალების და საგნების ხელახლი გასინჯვა უნდა დაინიშნოს არა უგვიანეს მდონა და არას შემთხვევაში არა უგვიანეს ერთის კვირისა, ღლიდან ამის შესახებ მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელის განცხადებისა.

მუხ. 30. უკითუ სალაროების ანუ ქონების საცავთა შემოწმებისას აღმოჩნდება ზედმეტი ფულის ლირებულება ან ქონება, ეს ზედმეტი, მის კუთვნილების გამორჩევამდე, სათანადო ოქმზე ხელის მოწერით მაშინათვე შემოსავლად ჩაიწერება.

მუხ. 31. იმ შემთხვევებში, როდესაც სალაროების და ქონების საცავთა შემოწმების დროს აღმოჩნდება, რომ ან ფულის და ანტერნების აქლია რამე, ან მასალა უვარებისია, ან დაცვის წესრიგს რაიმე ნაკლი აქვს, ან და შემჩნეულ იქნება საზოგადო რაიმე უწყესოება და გარეწრობა, ინსპექციის წარმომადგენელი შეაღენენ სათანადო ოქმს დამსწრე პირთა ხელისმოწერით და დაუყონებლივ აცნობებენ ამის შესახებ თავის მთავრობას, რომელიც აღძრავს სისტემის სამართლის წესით დამნაშავეთა პასუხისმგებებაში მიცემას და ადგებს მათ ანგარიშდანაკლისს; ამასთანავე ინსპექციის დაწესებულება აუწყებს ამ აღმოჩენათა შესახებ სალაროს ან ქონების საცავთა პირდაპირ უფროსთ ან სათანადო ანგარიშგალდებულ დაწესებულებას, რომ მათ მხრივაც მიღებულ იქნება ჯერივანი განკარგულება; მასთან ერთად, საქმის მნიშვნელობისა და გარემოებათა მიხედვით, მუშათა და გლეხთა ინსპექცია მოითხოვს მთავრობისაგან, ბრალდებულის თანამოებობიდან გადაყენებას.

მუხ. 32. სალაროებისა და ყოველგვარ ქონების მუდმივ საცავთა შემოწმების დროს, აგრეთვე ყოველ იმ შემთხვევაში, როდესაც აღმოჩნდება რაიმე უწყესოება, გარეწრობა ანუ ბოროტოქმედება უნდა შედგენილ იქნას ოქმები. ყოველ

სხვა შემთხვევაში კი ოქმები შეიძლება შეიცვალოს შემოწებულ საბუთებზე სათანადო შინაარსის წარწერით.

მუხ. 33. განხეულობის ან ქონების სინაღლის ფაქტიურ რევიზის დროს საჭიროა, გარდა რევიზის შედეგებზე ოქმების შედგენისა, წირწერები გაუკეთდეს მოხდენილ შემოწმების შესახებ იმ დავთრებასაც, რომელთა შიგდვით გამოყვანილია ნაღდი რაოდენობა ფულისა, განხეულობისა და ქონებისა.

მუხ. 34. ფაქტიური რევიზის დროს თანამდებობის არც ერთს დამსწრე პირს ნება არა აქვს ოქმებზე ხელი არ მოაწეროს.

მუხ. 35. თუ რომელიმე პირი, რომელსაც ოქმებზე ხელი უნდა მოეწერა, არ ეთანხმება ხელმოსაწერ თქმის შინაარსს ვალდებულია ეს გარემოება აღნიშნოს ოქმზე ხელის მოწერის დროსვე და სისწორით უჩვენოს, სახელდობრ—ოქმის რადა რა ცნობები იაჩნია მას უსწოროდ ახუ სანამდევილესთან შეუსაბამოდ.

მუხ. 36. ის ოქმები, რომელიც, შენიშვნების გაუკეთებლიდ, ხელმოწერილია ანგარიშვალდებულ სამხარაველოსა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის წარმომადგენელთა მიერ, შეძლებ ში აღარ შეიძლება უარისფერ იქნის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აღიძრება დავა სიყველის ჩადენაზე.

მუშათა და გლეხთა ინსპექციის საალბო კომისარი აღ. ეკუტეა შეილი.

საქმეთა მმართველი გ. მერიძე.

## ქარგი ვერსის ნიმუში

ამ ბოლო დროს რესპუბლიკის ტერიტორიაზე შემჩერულია მრავალი ყულის ნიშნების გავრცელება. ხმარებაში შემოტანილია სამარირი ხარისხის ფულის ნაშანი: 1) რ. ს. ს. ფ. რესპუბლიკის მთავრობის ფულის ნიშანი 50.000 მანეთის ღირსება — გამოშვებული 1921 წ. 2) ხექართველოს რესპუბლიკის 5.000 მანეთიანი ბონი და 3) 1000 მანეთიანი ფულის ნიშანი.

ფინანსთა კომისარიატის ფულის ნიშნების განყოფილებამ რედაქციის გამოუგზვნა გამოსაქვეყნებლიდ ამ ყალბი ნიშნების დამახსინათებელ დეფექტების აშერილობა, რომელსაც ვადექტავთ რესპუბლიკის მოქალაქეთა და შინაგან საქმეთა სახალისა კომისარიატის ქვემდებარე ორგანოების საყურადღებოდ.

### აღმრიდობა

ყალბი ფულის განშენვაგებელი ნიშნებისა

1) რ. ს. ს. ფ. რესპუბლიკის 50.000 მანეთიანი ყალბი ფულის ნიშანი: ორნაირია, იგი

დაბეჭდილია სხვა და სხვა ქალადგზე ამ ქალდღის პირველ ნიშანს არა აქვს წყალის, და-ლი (წყლის ნიშნები), მეორე ნიშანშის ქალალდი წყალის—გლიანის მაგვარ კუპონზე დაბეჭდილი, რომელიც შესრულებულია სალებავთ ან ოლიფით; გარდა ამისა ეს ყალბი ნიშანი ძლიერ ტლანქად არის შესრულებული: მას არა აქვს მთლიანი ნახა-ტის სახე, არამედ მხოლოდ ზოვიერო იდგილის ნა-ხაზის კონტურებით არის მოფენილი.

სიერთოდ ამ ფულის წყალის დაღის ნახატი ნამდვილასაგან აშკარად განირჩევა კონტურების სიმცველრით, რომელსაც აკლია ნახაზის ნახევარ-ჩრდილები..

ამ ყალბი ნიშნების შროტტი აშკარად განირჩევა ნამდვილი ნიშნების შრიუტისაგან მათ, რომ ასოების ხასიათი მთლიანად ვერ არის დაცული და საზოგადოდ ასოები არ არის სწორი.

გარდა ამისა შეიძლება აღნიშნოთ შეძლევი ნიშნები: სიტყვაში — „Расчетный“ ასო „е“, „შუ-პორიზუნტალური“ შტრიხი თავდება წერტილით, ასო „Т“ ზედა-პორიზუნტალური ხაზი სიდერიულად არ არის შევარდებული მავე ასოს ძირითად ვერტიკალურ ნაწილთან.

სიტყვა „Республики“-ს დაბლა ორნამენტის ქვემთი ხველმი ხაზის სისწორე დარღვეულია, (სიტყვა „Подделка“-ს ასო «О» ს ძალა) სიტყვებში — „Народный комисар финансов“ ყველა ასოები გავიკენილია. სიტყვაში — „Кассир“ ასო „Р“-ს ზემოთ შემომარგვალებული თვი შეერთებულია ძარითად შტრიხთან მაშინ, როდესაც ნამდვილ ნიშანზე ამ შემომარგვალებულ ნაწილის ქვეთა მხარე არ არის მიტანილი ძირითაუ შტრიხთან.

სიტყვებში: „Социалистической Советской Республики“ მთელი ასოები ტლანქად არის შესრულებული და უკანასკნელი სიტყვის უკანასკნელ „И“ ის არა აქვს თავზე ნახევარი ბერის გამომხატველი ნიშანი.

ამ ყალბი ნიშანზე წლის რიცხვი დაბეჭდილია მსხვილი: ასოებით და სწორედ ამით განსხვავდება იგი ნამდვილ ფულის ნიშანის წლის რიცხვის ასოებისაგან.

3) 5.000 მანეთიანი ხაქართ. რესპუბლიკის ყალბი ბონი. ამ ყალბი ბონის ზედაპირზე — სასახლის ფასადი ტლანქად არის შესრულებული. მისი მარჯვენა ნაპირის მოხაზულობა სერიი არ არის და საზოგადოდ იგი აშკარად განირჩევა ნამდვილი ბონის შტრიხოველისაგან.

ჭდეულში, სადაც მათავსებულია წლის რიცხვი „1921“ ციფრების ყველა ხაზები თანაბარო სისქისა მაშინ, როდესაც ნამდვილი ბონის ციფრის ხაზების მარჯვენა მხარეს უფრო ფართო ჩრდილები აქვს.

ციფრების „5000“ მარჯვენა და მარცხენა შიგნითი შტრიხოველია თანასწორი არ არის, როგორც ეს ნამდვილ ბონს აქვს.

ყალბი ბონის ჭდეულის მარჯვენა ზედა კუ-

ხეში ციფრი „5000“ თავის ადგილზე არ არის და იგი ცალის მხრით ზედა რეალს ეყრდნობა; ნამდვილ ბონზე კი ამ ჭიდულის წრე თანაბარია.

ყალბი ბონის ქვედა-პირზე წნული ჩარჩოს შტრიხოვეკა, როგორც ერთყობა ხელით არის შესრულებული და ამირომ ისარ არის სწორე. ნამდვილზე კი — ეს წნული ჩარჩო გაკეთებოლია მანქანით და ხაზები სწორედ და თანაბრად არის გავლებული.

წარწერის: „ხუთი ათასი მანეთი“ — ყველა ასოები ზემოთა მხრითან თანაბრი სიმსხვისა, ნამდვილ პონზე კი ამ წარწერას მარჯვნივ უფრო მომსხვილი გადაკერავს.

რეალული და ფრანგული შრიფტი არ შეესაბამება ნამდვილი ბონის შრიფტს, როგორ ასოები სხვა და სხვა სიმსხვესთვის და ისინი მოთავსებულია სხვა და სხვა მიმართულებით.

ჭიდული, საღავა ჩამსხვისა ციფრა „5000“ მარჯვნია და მარცხნია მხარეებიდან გამოყვანილია ძლიერ ტანა ნეა.

3) 1000 მანეთიანი კალბი ბონი — 1921

წლის სერია. ამ ბონის სიყიდების პირველი და მთავარი ნიშანი ის არის რომ მას არა ექვე წყვალის დალი. ქაღალდი უბრალოს, ასოები აუკარი განიაჩევა ნამდვილი ბონის ასოებისაგან მით, რომ მათი ხასიათი დარღვეულია და საზოგადოდ ასოები უსწორ მასწორობა.

კერძოდ შეიძლება აღინიშნოს შემდეგი: სიტყვა „ЗНАК“-ის ასო „Н“. ს შესაერთებელი შტრიხი უფრო მაღლა ვიურე ნამდვილ ბონზე, ასო „К“-ს ქვეითა მოკაუჭებელი ნაწილი ზედა კაუჭის დასწრებივ შეს გულში კი არ არის, არამედ უფრო ზემოდაა აწეული.

სიტყვა: „расчетныЙ“-ის უკანას ნელ ასოს ნახევარი ბგერის ნიშანი სიმეტრიულად არ არის დასტული.

სიტყვები: „всем достоянием“ ასო „М“ უფრო განიირია ვიდრე ნამდვილ ბონზე.

სიტყვაში: „республики“ ასო „Л“ კუთხიანია, მამინ, როდესაც ნამდვილ ბონზე ეს ასოები არის მრგვალი მოხაზულობისა და სხვ.

## ა რ ბ - თ თ ი ც ი ა ლ უ რ ი გ ა ნ ე თ თ ი ლ ე ბ ა

### სარაიონო რეკორდების გაუქმების გამო.

საბჭოთა სისტემას დამახასიათებელ თვისებას შეადგენს ის რომ, ეს სისტემა განკენცებულ ღდებისა და თეორიების მიხევით კი არ ტარდება ცხოვრებაში, არამედ ყალრებად შეფარდებულია ცხოვრების სინამდვილესთან და გამომხატველია არსებულ ძალთა განწყობრელებისა. ექვს გარეშე რომ საბჭოთა სისტემა როგორც სახელმწიფო გერი ცხოვრების სრულია ახალი ფორმა ერთბაშად სავსებით და უნაკლულოდ ვერ ჩ. მოყალიბდება, აქ საჭიროა ერთგვარი ცდა. გამოყიდვება, დაკვირვება. ეს საჭიროა მით უმეტეს რომ საბჭოთა სისტემის ფორმები კაბინეტებში კი არ იქნება, არამედ მუშაობაში მონაწილეობას ღებულობს მოელი მასსა. ამ მასსას უჭირავს ხელში მოელი ინიციატივა, მის თვითმიმდევრებასა, და აქაუიდაზე ამ ახალ ფორმების საბოლოო შემუშავება — ჩამოყალიბება და ცხოვრებაში გრანება. რომ ეს ასე ამის ერთ საუკეთესო მაგალითად შეგვაძლია მოვიყვანოთ ზოგიერთ მხრებში ვერედ წოდებულ სარიონო რეკორდების დაძრსება.

საბჭოთა ხელისუფლების დაწყირების დროს საჭიროების არსებობდა ორი აღმინისტრატიული ერთეული, თემი და მაზრა.

ჩვენ ეს აღმინისტრატიული დაყოფა უცველია დავტოვეთ, როგორ ვფიქრობდით და ვფიქრობთ რომ ეს საჭირო მეზად როგორი და სერიოზულია, და ამ დარგში დიდი დაყვირვება, გამო-

ცდილება და სიფრთხილეა საჭირო. მართლაც აღმინისტრატიული ერთეული, ეს რაღაც განცენებული რამ კი არ არის, ის სახებით უნდა ემყარებოდეს იმ ერთიანობას, რომელიც ფაქტორად არსებობს ამა თუ იმ კუთხის მოხახელეთა შორის, გროგრაფიულ, ეკონომიკურ და სხვა პირობების ერთგვარობის გამო. აღმინისტრატიულის ერთეული — ეს როგორი კომპლექსია და ამიტომ რასებულიერის აღმინისტრატიულის დაყოფის საჭმეს დიდი კურიალებით და საფრთხილით ვერ დაბით. აი აქაც, როგორც ყოვლითოვნი მოვალეობისა ერთგარი ცდა. გამოყიდვება, დაკვირვება. ეს საჭიროა მით უმეტეს რომ საბჭოთა სისტემის ფორმები კაბინეტებში კი არ იქნება, არამედ მუშაობაში მონაწილეობას ღებულობს მოელი მასსა. ამ მასსას უჭირავს ხელში მოელი ინიციატივა, მის თვითმიმდევრებასა, და აქაუიდაზე ამ ახალ ფორმების საბოლოო შემუშავება — ჩამოყალიბება და ცხოვრებაში გრანება. რომ ეს ასე ამის ერთ საუკეთესო მაგალითად შეგვაძლია მოვიყვანოთ ზოგიერთ მხრებში ვერედ წოდებულ სარიონო რეკორდების დაძრსება.

რადგან ზოგიერთი თემები მეტად დაშორებული არიან სამაზრო ცინტრს, ისინი დაუკვემდებარებს სარიონო რევკომებს, რათა ისინი მთლაც არა ყოფილიყვნენ მოკაუჭებელი ერთგვარ კონტროლსა და ხელმძღვანელობას.

ამ გზით და ამ საშუალებით ვოიქონდით

უფრო მტკიცე კავშირის გამბას ყველა ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოთა შორის, და ამ ორგანოთა ცენტრალურ ორგანოებთან უფრო შეიძლოდ დაკავშირდებას. პირველ ხანებში სარაიონო რევკომები არსებობდა როგორც ასეთი მეთვალყურე ორგანოები; მასთან ერთად, არსებობდა აგრელვე სათემო რევკომიც. ერთ და იმავე ცენტრში სარაიონო და სათემო რევკომების არსებობა ერთგვარ არე—დარევას იწვევდა, და ეს არც სექტიანობის მხრივ იყო სასარგებლო. ამიტომ სარაიონო და ასეთი სათემო რევკომები შედუღდნენ, ეს იდი სარაიონო რევკომი იმავე დროს არის სათემო რევკომიც თავის სახელმწიფოების თვის ფარილებში.

10 თვის პრაქტიკაში ნათლად დაგვანახვა რომ სარაიონო რევკომები პირდაპირ ზედმეტი ბაზები სახელმწიფოებისათვის. იმ მოხსენებებში რომელიც მრავლად მოდის კომისარიატს სამაზრო რევკომებისაგან ადგილობრივ ხელისუფლების ორგანოთა მოღვაწეობის შესახებ, თქვენ ვერც ერთში ვერთენების ამოიკითხავთ ამ სარაიონო რევკომების ან წარსულ ან მომზად მოღვაწეობის შესახებ, ეს მოხსენებები პირდაპირ გვერდს უხვევენ ამ დაწესებულებას. და ეს ადვილი გასავარიც არის. პრაქტიკაში ნათლად და გარკვევით დაგვანახვა, რომ სათემო რევკომები, რამდენადაც დაშორებულნიც არ უნდა იყვნენ ისინი სამაზრო ცენტრთან, ამჯობინებენ უშუალოდ დაიკავონ მასთან საქმე; თითქმის ყველგან, სამაზრო ცენტრი ცოტად თუ ბევრად ენერგიულად მუშაობდა, ის სავსებით ახერხებდა სათემო რევკომების მოღვაწეობის კონტროლსა და ხელმძღვანელობას. და ეს მისი მუშაობა ამ შემთხვევაში უფრო ნაყოფიერიც იყო, რადგან სამაზრო ცენტრებში თავმოყრილნი არიან უფრო გამოცდილი და მომხადებული ამხანაგები.

ყოველივე ეს თითქმის ერთხმად დაადასტურა სამაზრო რევკომების თავმჯდომარეთა მოადგილეთა ყრილობამ. საბჭოთა სისტემის ერთი დადებითი მხარეთაგანი არის მისი სიმარტივე და მოქნილობა. (ცხოვრებამ) კი დაგვანახვა რომ სარაიონო რევკომი ეს სრულად ზედმეტი ბარგია, რომელიც ამ შემთხვევაში ართულებს ამ სისტემას და ქაოტიური ელემენტი შეაქვს მასში. გარდა ამისა რომ გამოუსადეგარი აღმოჩნდა სახელმწიფოებრივ აღმშენებლობის საქმეში ფინანსიურის მხრივაც საზიანოა, რადგან მისი შენახვა იმ ფართო ფუნქციებით რომელიც მას ჰქონდა მინიჭებული საქმოდ დიდ თანხას მოითხოვდა, მასევ სრულებით სასარგებლოდ დაკავებული ჰყავდა მრავალი ცოტად თუ ბევრად გამოცდილი ამხანაგები, რომელთა სათემო რევკომებში გადაჯუფება საქმისათვის გაცილებით უფრო სასარგებლო იქნებოდა. ეხლა, როდესაც დანიშნული რევკომები თავის მოღვაწეობას ათავებენ და ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში იქმნება ახალი ერა, რევკომების ადგილს იქცერენ მშრომელი ხალ-

ხის მიერ არჩეული საბჭოები თავის ცენტრალური ბელ ორგანოებით.

რაც შეეხება სარაიონო ერთეულებს, მათი არსებობა სრულიად ზედმეტია და მის არსებობას ყოველივე აზრი და მნიშვნელობა გვარებები. ჩვენი ქვეყნის თავისებურობა, მისი ტერიტორიის სიმურე, მით უმეტეს მაზრებში მცხოვრებთა ეროვნების მხრივ ერთგვარობა და სხვა, საუკეთესო პირობებია იმ მარტივი სახელმწიფოებრივი სისტემის ცხოვრებაში გატარებისათვის, რომელიც ეხლა გამოიმუშავა მთავრობამ. ცენტრალურმა საარჩევნო კომისარიატთან გათვალისწინა რა ყოველივე ეს შინ. საქ. კომისარიატთან ერთად იმ დასკვნამდის, მივიღა რომ სრულიად საქმაო და მიზანშეწონილიც არის დაარსება მხოლოდ სათემო და სამაზრო საბჭოებისა, ოლონდ ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან საქალაქო ცენტრებისათვის შემოღებულ იქნება საქალაქო საბჭოები, რასაკეირებელი უფრო მარტივი კონსტრუქციით, ვიდრე ეს არის დიდ ქალაქებში.

ყოველივე ამის მიხედვით შინ. საქ. სახალხო კომისარიატმა მთავრობას წარუდიგინა პროექტი დეკრეტისა, რომლის ძალითაც სარაიონო ერთეულები ისპიბიან. სამაზრო რევკომები რასაკეირებელია გამოიყენებენ ამ რევკომებში განთავისუფლებულ ამხანაგებს, რაც საშუალებას მისცემს მათ ცოტათი მარც შეასუსტონ ის კრიზისი, რომელსაც ისინი განიცდიან საჭირო გამოცდილ მომუშავეთა სიმურის გამო.

## საბჭოთა პრეზენტის საქართველოში.

დამდეგმა 1922 წელშა საქართველოს მოუსწრო იმ განურებულ მუშაობის დროს, რომელიც სწარმოებს ამ უძმიდ საბჭოთა ხელისუფლების სტრუქტურისათვის.

იქმდე საქართველოს არ ჰქონდა ადგისი ხელისუფლების მუდმივი კონსტიტუცია. ამ კონსტიტუციის განხორციელება სწარმოებდა რევკომის სხივთ.

მხოლოდ ეხლა, როდესაც უკვე განვლო საქართველოში ახალი ხელისუფლების დამყარების პირველმა მწვევე მომენტმა, ჩნდებიან და თავის აღგრძნელ იქცერენ საბჭოები, რომელნიც არიან ქვეყნის პირდაპირი ბატონ-პატრონნი.

მუშაობა და გლეხთა რევოლუციონური ბატონის ამიერიდან უკვე იღებს თავის უფლებრივ და კანონიერ გამოხატულებას და საქართველოს პროლეტარიატი თავის მტკიცე და დაკავერებულ ხელში იღებს ძალა-უფლებას და ისტორიის რომ მოკაზიერებულ დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკების დიდი ოჯახის წევრი გახდეს.

სიბჭოთა კონსტიტუციის ძირითადი პრინციპი, რომელიც ამ თოხო წლის წინედ გამოქვეყნდა საბჭოთა რესპექტი—საბჭოთა საქართველოში მხო-

ლოდ ეხლა იღებს თავის პრიზტიკულ განხორციელების ნამდგრილ სახეს.

მთელს საქართველოში სწარმოებს საბჭოთა მარჩენები.

საქართველოს მუშები და გლეხები პირველად თავისუფლად და დამოუკიდებლად გამოსთვავდნ თავით ნებისყოფას, ისინი პირველად თხორციელებენ საბჭოთა კონსტიტუციის იდეას, რომელიც რესევის ორიგინალის მკვდარი ისლი კი არ არის, არამედ იგი სიცემით შეფარდებულია აღვი ლოდრივ პირობებს და ცხოვრების თავისებურობას.

თავის დროზე საქართველოს რევოლუცია გამოსცა დემოულება თბილისის მუშათა, გლეხთა და წითელ არმიელთა დეპუტატების არჩევნების შესახებ. არჩევნები დიდი ხანია მოხუა და თბილისის პროლეტარიატში უკვე იხილა მუშათა მისან ამორჩეულ ამხანაგების—თბილისის აღმასრულებელი კომიტეტი უკვე კარგი ხანია რაც შეუდგა თავის ფუნქციების სარულებას.

რევოლუციის დემოულების შემდეგ შინაგან საქმეთა კომისარიატში გამოავეყყნა დემოულება—სათემო და სამაზრო საბჭოებისა და საქართველოს საბჭოთა ურიალობის არჩევნების შესახებ.

ამ დემოულებიში ჩამოყალიბებულია არჩევნების ძირითადი პრინციპი საბჭოთა კონსტიტუციის მიხედვით.

ვის აქვს უფლება ამორჩოოს ან არჩეულ იქმნეს? რა თქმა უნდა საბჭოთა საქართველოში აქტიური და პასიური არჩევნების უფლება აქვთ მხოლოდ მშრომლო, ე. ი. იმათ ვინც არ არის მიმთვისებელი სხვისი შრომისა. რასაკირველია თუ ეს პირი პოლიტიკურად უფლება-დაკარგული არ არიან.

არჩევნების უფლება აქვთ რესპუბლიკის ორივე სკესის კულტო მოქალაქეთ, მოუხიავად სახატუნებისა, ეროვნებისა და სხვა რომელთაც არჩევნების ვადა დე 18 წელი შესრულდებათ და რომელთაც აქვთ შრომის უნარი და არ არიან სხვისი ნაოფლორის მიმთვისებელნი. ამ დარჩეს კულტონიან; მუშები და კულტო საწარმოვთ, სავიზრო, სახელმწიფო, სამეცნიერო და სხვა დაწესებულებებში მოსამსახურები პირი, გლეხები, მიწის მუშები, საქართველოს და რესევის წითელი არმია (რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფება).

არჩევნებში მონაწილეობის უფლება არა აქვთ ის მოქალაქეთ, რომელიც სხვისი შრომის ექსპლოატატიკით, გაქრობით, კაპიტალის ბრუკენტებითა და სპეციალიკითა ცხოვრობენ, სასულიერო პირი და სხვა უცხოელნი არჩევნების უფლებით სარგებლობენ სიერთო წესის მიხედვით.

საბჭოთა არჩევნების ტენიკური განხორციელება „დემოულებით“ ეკისრებათ განსაკუთრებულ ორგანოებს, რომელიც ვალდებული არიან მიიღონ ყოველგვარი დონის მიებანი ამ არჩევნების სისწორით ჩახტარებლად მთელს რესპუბლიკში.

ეს ორგანოები შესდგებიან საქართველოს

სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკის საბჭოთა ურიალობის მომწვევე ცენტრალურ საარჩევნო კომისიების, სამაზრო და სათემო საარჩევნო კომისიების წარმომადგენელთაგან.

ამ ორგანოების ეგალებათ სასტიკი თვილყორის დევნება, რომ არჩევნების დროს დაცული იქმნას საარჩევნო წესრიგი, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს მშრომლოთ ინტერესებს და რომ არჩევნებში შონაწილობა მიიღონ მხოლოდ იმათ, ვისც ამისი უფლება აქვს.

ეს არჩევნები საბჭოებისა და საბჭოთა ურიალობებისა, რომლებიც ამ უამაღ მთელს საქართველოში სწარმოებს, ხდება იმ მომენტში, რომელსაც განიცდიან ყველა საბჭოთა რისპუბლიკები.

სწორედ ამ უამაღ საბჭოთა ხელისუფლება მთელ მსოფლიოს ყურადღებას იქცევს და მისი შინაგენელობა არის უფრო დიადი და მაღალი ვიდრე ეს ოდესშე ყოფილა. ეხლა სრულიად აშკარა და ყველისათვის ნათლიად დასახანი შეიქმნა ის უდიდესი რეზულტატები, რომლებსაც მიაღწია ბროლეტარიატმა კაბიტალობა თავგანწირულ და სისხლის მღვრელ ბრძოლაში.

უძღვებმა ანტანტმა, რომელიც ოცნებობდა საბჭოთა ხელისუფლების განადანურებას ბლოკირისა და დაუსრულებელი ინტერვენციის საშუალებით, რომელიც ლამბრა შის ამოხრიობას სიმშილის გადაღრიყვებულის ხელებით,—ეხლა შეიგნო თავისი უძღვებმა ამ ხელისუფლებასთან ბრძოლაში.

უკან დაიხია კბილებამდე შეიარადებულმა და ყელამდე ოქროში ჩაფლული მსოფლიო ბურჟუაზიამ რომელიც მუდავ ამაყარი იდგა თავისი პოზიციებზე და გააფორმებით იხერიებდა მასთან მებრძოლი ბროლეტარიატის მღლებარე ქირტაციის გადაღვენარებას. თავისი შემდეგ მისი შერით ნიშნავს საკუთარი დამარცხების ძირისათვის.

მსოფლიო ბრძოლაზის მიერ მომთლებული საბჭოთა სისტემა ეხლა დასტურდება იურიდიულო. რესევის საბჭოთა მთავრობამ მოკავშირეთაგან უკვე მიიღო მოწევევა გენუაში განხრასულ კონფერენციაზე დასასწერებლად. პროლეტარიატის გამარჯვება იღმოჩნდა სრული და ბრწყინვალე. მუშათა და გლეხთა სახელმწიფო სრულ უფლებიან წევრად შევილა ბურჟუაზიულ სახელმწიფოთა ოჯახში.

ეს ფაქტი იწყებს ახალ ერას კაპიტალისა და ბროლეტარიატის ბრძოლაში, იგი პროლეტარიატის სახელმწიფოებრივ—ხელისუფლებას ზრდის მსოფლიო ძალები. ამ ბრძოლაში დაქცეულმა მუშათა და გლეხთა სისხლის ნიაღარმა მუშთად არ ჩინარა: ეს ბრძოლა გირზარდა ბროლეტარიული ხელისუფლების უზარმაზარ შენობად, რომლის მსგავსი ჯერ კაცობრიობას არ უხილოვს.

საქართველოს მუშება და გლეხებს, რომელნიც ანტანტკიოლებებს ამ ხელისუფლებას თავის პა-

ტარა მაგრამ ლამაზ ქვეყანაში — სრულის სიამაყით შეუძლიანთ მიუთითონ თავისი კონსტიტუციის ლამაზ შენობაზე და უთხრან უცხოელ თანამომქმედ, რომ ამ კოლოსალურ მუშაობაში, მათაც მიუღიათ გულწრფელი და ოვალსაჩინო მონაწილეობა.

მაგრამ გარდა ასეთი მნიშვნელობისა, საბჭოთა არჩევნებს აქვს თავისი შინაგანი დამამარტინებელი მძღვანი მიხედვიც: სახელმწიფოს მძიმე და აუტონომიური მდგრადი დაბეჯითებით მოითხოვს ხეპითველოს მუშაობა და გლეხთა უმცესებელი მონაწილეობას სახელმწიფოს სამართლებრივ მუშაობაში.

ამ მძიმე, გარდამავალ მომენტში, რომელსაც განიცდის ჩვენი ქვეყანა, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს საბჭოებისა და მთი ყრილობების არჩევას. მხოლოდ ეს საბჭოები და მთი აღმასრულებელი კომიტეტები იქნებიან ნამდვილი გამომხატველნი სახელმწიფოს მუშაობა და გლეხთა ნებისყოფისა, მხოლოდ მათ შეუძლიანთ გამოსიებრინ ნამდვილი მეთოდები და საშუალებანი ქვეყნის დღვენდელ ჩიხილან გმოსაყავანიდ და მისი კონსოლიდი წარმატებისათვის.

სახელმწიფოს მუშაობა და გლეხთა ხელისუფლების ავტორიტეტი ესლა პრეფერენცია თავის ნამდვილ გამომხატველების საბჭოებისა და მთი ყრილობების ხეხით.

სახელმწიფოს სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის გარდამავალი მომენტი დასრულებულია, 1922 წელი იწყება სახელმწიფოს სრული კალაპოტში ჩაეყნებით.

#### ლახი.

## ამიერ-კავკასიის რესპუბლიკური ფედერაცია და ახალი ეკონომიკური კოლექტივი.

ისტორიული მომენტი, რომელსაც განიცდიან საბჭოთა რესპუბლიკები, ხასიათდება მათის მუდმივი ჩამოყალიბებითა და გადახალისებით როგორც კონსოლიდად, ისე პოლიტიკურად. ეს რესპუბლიკები ჯერ ისევ დუღილის პერიოდში იმყოფებიან და საბოლოოდ არ მიუღიათ ნამდვილი ფორმა. ეს განუწყვეტელი მოძრაობა, რომელშიც მოქავეულია საბჭოთა რესპუბლიკების მთელი ცხოვრება, დამახასიათებელია ეხლანდელი მომენტისა, იგი მოწმობს ამ ახალგაზრდა სახელმწიფოთა შეუწყვეტელ აღმშენებლობითს მოვაწეობასა და მათს მისწრაფებას ცხოვრების ახალ, უფრო უკეთეს ფორმების გამოსახავად, რის მიღწევასაც მიზნად ისხავენ ამ რესპუბლიკების მუშები და გლეხები.

ამიტომ, ამ ნორჩ სახელმწიფოთა შეუწყეტელი კურების უკეთეს აღმშენებების კადაგმას პოლიტიკურ და კონსოლიდაციურ ბლობის დარღვი. თავისი სიმძლავრისა და ნების-კოფის გამოსახატვად და თავის მრავალრიცხვოვან მტკრავან თავდაცისა და ბრძოლისათვის ახალ, უკეთეს ფორმების ძიების დროს, საბჭოთა მთავრობა აყენებს პოლიტიკურ და კონსოლიდაციურ ბრძოლის ახალ ლოგიკებებს და ამ ფრონტზე იქნება ახალ პოზიციებს.

საბჭოთა რუსეთში აღიარებული ახალი გვანმიური პოლიტიკა სწორედ ამ ფრონტზე მომხდარი ერთ ერთი დავისათვისაა. ეს პოლიტიკა იმ აუკილებელ და რეალურ დამარტინების წყალობით, რომელსაც საფუძვლად უდებს საბჭოთა რუსეთის ხელისუფლება. შესდგა სამეცნიერო აღმშენებლობის ახალ საფეხურზე. ახალი კონსოლიდაციური პოლიტიკა თვით ქვეყნის რეალური ინტერესების მიერ არის ნაკარნახვი. საბჭოთა რუსეთში ამ ახალ პოლიტიკაზე გადახვდა უკავ ფაქტია და მას ბრწყინვალე შედეგები მოჰყავა. ქვეყნის კონსოლიდაციური ცხოვრება გაუმჯობესდა, ნერნელი შესაძლებელი ხდება მძიმე ხელშეკრულებისათვის დახვედრის დახვედრი, შემშილობასთან ბრძოლა გარჩევდება და გაძლიერდა, საკმაოდ გამოცოცხლდა მრეწველობა, რომის არსებობაც დიდი საზროვნებში იყო ჩაგრძნილი. მის ზოგიერთ დარგებში და აგრძელებულ კაბრიკებში და ქარხნებში წარმოებამ შესამჩნევ სიმღლეს მიაღწია, რაც გამოიხატება ნაყოფიერების 100%-იდან 200%-იდან გაზრდაში და იგი ხშირად მის წინაურიანდელ ნორმებს უთანაბრდება. საკმაოდ გაუმჯობესდა ტრანსპორტი, მშრომელთა მომარაგება საესებით შეესძამება საცხოვრებელ მინიმუმის ნორმებს.

აგრელებელ გაღასახადთა შემოღების წყალობით თვალისაჩინოდ გირზარდა სახელმწიფოს ფინანსები და სხვა.

ესევ გარეშე, რომ უახლოესი მომავალი უფრო მეტად დაადასტურებს ამ დარღვი აღმულ კურსის სისწორეს.

თუ ახალი კონსოლიდაცია კურსში ასეთი კეთილი ნაყოფიერება მოიტანა საბჭოთა რუსეთისათვის, რამაც აღიარ ესაჭიროება იმას, რომ ეს პოლიტიკური კურსი თანაბარივე მნიშვნელობისა საბჭოთა დამარტინებული რესპუბლიკებისთვისაც, ვინაირან მათი ყოფა-ცხოვრებისათვის მცირეოდნად განსხვავდება რუსეთის ყოფა-ცხოვრებისაგან.

